



მარტი, 2021 წ.

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -5.1% შეადგინა
- მარტში წლიური ინფლაცია 7.2%-ს გაუტოლდა
- მარტში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.8%-ით გაუფასურების, ხოლო ევროს მიმართ 0.7%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021 წ.


1. რეალური და ფისკალური სექტორი

თებერვალში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 5.1%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -5.1% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპმა¹ 1.3% შეადგინა.


რეალური მშპ-ის ზრდა



მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 7.2%-ს შეადგინა.

წინა წლის მარტთან მიმართებით, 2021 წლის მარტში ინფლაციის დონე 7.2%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და სახლის მოვლაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ტრანსპორტზე საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერჯიაზე და აირზე. 2021 წლის თებერვალში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 7.8% შეადგინა.


სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილება



თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 7.6%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები - 14.3%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 125.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 343.5 მლნ ლარით განისაზღვრა.

ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო




¹ წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონური და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

თემატიკაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის თებერვალთან მიმართებით, 2021 წლის თებერვალში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 22.0%-ით მოიმატა და 37.6 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 25.0%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-თებერვალში, წინა წლის იმავე პერიოდებთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

წინა წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით, 2021 წლის იანვარ-თებერვალში ექსპორტი 6.8%-ით, ხოლო იმპორტი 14.1%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა გერმანიაში (62%-ით), თურქეთში (25%-ით), და რუსეთში (17%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი აზერბაიჯანში (29%-ით), ბულგარეთში (29%-ით), სომხეთში (27%-ით) და ჩინეთში (13%-ით).


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები იანვარ-თებერვალში



თემატიკაში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის თებერვალში ფულადი გზავნილები 17.5%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 43.4%), რუსეთი (15.6%) და აშშ (11.9%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (191%), უკრაინიდან (78%-ით), გერმანიიდან (51%-ით), აშშ-დან (33%-ით) და იტალიიდან (32%-ით). ხოლო რუსეთიდან შემცირდა (12%-ით).


ფულადი გზავნილები იანვარ-თებერვალში



2021 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებმა 4,101 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,101 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 20.6%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 0.6%-ით გაიზარდა. 2021 წლის მარტში ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები




3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შემარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის თებერვალში სარეზერვო ფულის მასა 25.6%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატი 22.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 31.9%-ს გაუტოლდა. თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 3.6% შეადგინა.


ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები %-ლი ცვლილება



თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, ხოლო სესხების უზენაესი უმნიშვნელოდ შემცირდა.

2021 წლის თებერვალში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა და 64.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.2%-ული პუნქტით შემცირდა და 55.5% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის თებერვალში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 4.5%-ით გაიზარდა.


დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი



თებერვალში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა.

2021 წლის თებერვალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.4% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 2.1 %-ული პუნქტით მეტი წინა წლის თებერვალთან შედარებით.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე




მარტში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლართან გაუფასურების, ხოლო ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2021 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.8%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 0.7%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 8.8%-ით, ევროს მიმართ კი 15.4%-ით გაუფასურდა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები

(ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




4. რეგიონული მიმოხილვა

მარტში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მართნადი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2021 წლის მარტში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 16.2% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (5.8%) და სომხეთში (5.8%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.2%-ით მოიმატა.


წლიური ინფლაცია მარტი, 2021



მარტში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2021 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (16.9%-ით), რუსული რუბლი (0.9%-ით), სომხური დრამი (7.3%-ით), ხოლო აზერბაიჯანული მანათი უმნიშვნელოდ გაუფასურდა (0.3%-ით).

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
მარტი, 2021



შემაჯამებელი ცხრილი²



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

| | | იანვ 20 | თებ 20 | მარტი 20 | აპრილი 20 | მაისი 20 | ივნ 20 | ივლ 20 | აგვ 20 | სექტ 20 | ოქტ 20 | ნოემბ 20 | დეკ 20 | იანვ 21 | თებ 21 | მარტი 21 | |
|--------------------|--------------------------------|---------|--------|----------|-----------|----------|--------|--------|--------|---------|--------|----------|--------|---------|--------|----------|-------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | |
| | დღგ-ს ზრუნვების ზრდის ტემპი | Green | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | Red | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სესხების დოლარიზაცია | Red | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | გზავნილები | Green | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | ექსპორტი | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | იმპორტი | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | სავაჭრო ბალანსი | Red | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | საერთაშორისო რეზერვები | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მიმდინარე ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | კაპიტალური ხარჯები | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

| | | იანვ 20 | თებ 20 | მარტი 20 | აპრილი 20 | მაისი 20 | ივნ 20 | ივლ 20 | აგვ 20 | სექტ 20 | ოქტ 20 | ნოემბ 20 | დეკ 20 | იანვ 21 | თებ 21 | მარტი 21 | |
|--------------------|--------------------------------|---------|--------|----------|-----------|----------|--------|--------|--------|---------|--------|----------|--------|---------|--------|----------|-------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | |
| | დღგ-ს ზრუნვების ზრდის ტემპი | Green | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | Orange | Orange | Orange | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | Green | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | სესხების დოლარიზაცია | Green | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | გზავნილები | Green | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | ექსპორტი | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | იმპორტი | Green | Green | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| | სავაჭრო ბალანსი | Green | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | საერთაშორისო რეზერვები | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red | Red |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | მიმდინარე ხარჯები | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |
| | კაპიტალური ხარჯები | Red | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green | Green |

**ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

² გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.